დასკვნა:**დ03. 3724144001**
თარიღი:**23/05/2024**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

მიმდინარე წლის 23 მაისს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N20 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა 2024 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 37 750,0 ათ. ლარით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 13 486,7 ათ. ლარი(წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4 447,6 ათ ლარით მეტი), რაც წლიური გეგმის 35,7%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 15 563,9 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 41,22%-ია.

შემოსულობების კუთხით აღსანიშნავია „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ წლიური გეგმის 130,4%-ით და „არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელისა და მომსახურების“ წლიური გეგმის 98,5%-ით შესრულება.

გადასახდელების მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ დაფინანსებამ შეადგინა წლიური გეგმის 63,2%.

კომისიამ იმსჯელა 2024 წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როგორც საბიუჯეტო შემოსავლების აკუმულირების, ისე შესაბამისი ხარჯების დინამიკა ხასიათდება სტაბილურობით, რაც საფუძველს ქმნის მუნიციპალიტეტის წლიური ფისკალური გეგმა წარმატებით შესრულდეს.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი